რევანში არ შედგა

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 8 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “ადმირალტეეცი” (ლენინგრადი) 3:2 (2:1).

“ადმირალტეეცი” - ფარიკინი, კურზინერი, სპირიდონოვი, გოლუბევი, მოროზოვი, ვ. ვასილიევი, ცარიცინი (ვინოგრადოვი), სვეშნიკოვი, ბელკინი, ვარლამოვი, ა. ვასილიევი.

“დინამო” - კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე, კურტანიძე.

მსაჯი: ს. არხიპოვი (მოსკოვი).

ეს მატჩი, როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავდა თბილისის დინამოელთა შეხვედრას მოსკოვის “სპარტაკთან”, აქაც ისე, როგორც მაშინ, ორივე ნახევარში ტექნიკური, ტაქტიკური და ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, მაგრამ ამჯერად როგორც ჩანს, ჩვენს ფეხბურთელებს ზოგიერთი დასკვნები გაუკეთებიათ და შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს.

ლენინგრადელები თავგამოდებით იბრძოდნენ იმ პირველი ადგილის შენარჩუნებისათვის, რომელიც მათ ამ მატჩამდე ჰქონდათ. ისინი ხშირად იცვლიდნენ ადგილებს, დროულად გადიოდნენ ბურთზე. მაგრამ დაბალი ტექნიკა არ აძლევდა მათ ბურთის სათანადოდ დამუშავებისა და რაიმე სახიფათო მომენტის შექმნის საშუალებას.

თბილისელთა სახიფათო გარღვევების უვნებელსაყოფად სტუმრები დროდადრო უკიდურეს ზომას - აკრძალულ თამაშს მიმართავდნენ. სწორედ ამგვარი “თავაზიანობისათვის” მე-4 წუთზე მსაჯმა სრულიად სამართლიანად დააჯარიმა ლენინგრადელები. ჯარიმის ადგილი ოციოდე მეტრით იყო დაშორებული კარისაგან. მოწინააღმდეგე მცველებმა და შუამარბებმა მოასწრეს კედლის აღმართვა, მაგრამ კალოევმა ბურთი ოდნავ გაუგორა მელაშვილს და ამ უკანასკნელმა კი იგი მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა. ანგარიში გაიხსნა - 1:0.

შეხვედრაში აშკარად იგრძნობოდა მესხის არყოფნა. მისი შემცვლელი კურტანიძე ვერ აჰყვა ანსამბლს, თუმცა იამანიძე, რომელიც ამ დღეს ღოღობერიძის მაგიერ მარცხენა შუამარბად გამოდიოდა, ხშირად აწვდიდა მას ბურთებს, ცდილობდა მიეცა მისთვის თამაშის საშუალება. დანაკლისს ავსებდნენ მისი პარტნიორები და განსაკუთრებით ბარქაია და მელაშვილი, რომლებიც არა მარტო თამამად უტევდნენ ლენინგრადელთა კარს, არამედ საჭიროების შემთხვევაში წარმატებით ეხმარებოდნენ მცველებსაც. კვლავ სცოდავდა სიჭინავა. სწორედ მისი წყალობით იყო, რომ კოტრიკაძესთან პირისპირ დარჩენილმა ა. ვასილიევმა გაათანაბრა ანგარიში.

მატჩმა მძაფრი ხასიათი მიიღო. სტუმრებს რევანშის აღება სურდათ ლენინგრადში დამარცხებისათვის, მასპინძლებს კი მეტად საჭირო ორი ქულა. პირველი გოლის გატანიდან 28 წუთის შემდეგ მელაშვილმა, რომელმაც ღრმა რეიდი განახორციელა მარჯვენა ფლანგზე, “ვალი გადაუხადა” თავისუფალ ადგილზე გასულ კალოევს, თავზე დააჯინა ბურთი და მანაც შესანიშნავად გაახვია იგი ლენინგრადელთა ბადეში - 2:1.

იამანიძემ, რომელიც შესანიშნავი იყო შუა მოედანზე, მოწინააღმდეგის კართან კალოევის ორი მიწოდება ვერ გამოიყენა. “ბურთის გაფუჭებაში” მას არ ჩამორჩნენ ბარქაია და კალოევიც. თუმცა სწორედ მათ მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ კალოევმა გაიტანა ჩემპიონატში თავისი მე-17 გოლი და მესამედ აიძულა ლენინგრადელები თამაში დაეწყოთ ცენტრიდან. ამის შემდეგ ერთგვარად მოეშვნენ თბილისელები. მცველები გაერთნენ საკუთარ ნახევარზე ბურთის ტარებით, რაც კარგად გამოიყენეს სტუმრებმა. ისინი მოულოდნელად დაეუფლნენ ბურთს და ბელკინმა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა - 3:2. ასე დამთავრდა ეს მატჩი.

ო. გელაშვილი.
“ლელო” 9 ოქტომბერი, 1960 წ.